# სახალხო გაზეთი

№ 356 ოთხშაბათი, 20 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 356

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## დ. ყვირილაში

„სორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 14. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—96)

## გამოვიდა და იყიდება ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“,

4 მოქმ. დრამა. წიგნის საწყობი: „სახალხო გაზეთის“ რედაქცია. (5—1)

## ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ. „ჩვენი საზოგადოებრივობა“

გასასყიდად გამოვიდა. ფასი 80 კ. ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ იმ აგენტებს, ვისთანაც ხელი მოაწერეს. (3—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორო ავადმყოფებს ღებულობენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დადიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და აგ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხთოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—515)

## „სახალხო გაზეთის“ რედაქცია და კანტორა გადავიდა

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. შესავალი ეზოდან.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხოხთოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. (წო.—1090—113)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—64)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—4)

სურამში კბილის ექიმი ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. უ)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისოდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

აბასთუმანში კბილის ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—29)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ტ—101

ნაფიცი ვექილი გ. ზ. ჩაჩიბაია

დაბინავდა ნოვობებუთოვის ქუჩაზე, № 3. (6—726—3)

გამოვიდა და იყიდება

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოხიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც ალ. თუთაევის ახალი თხზულება: „მეორე კაენი“, დრამა სამ მოქმედებად და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები: „ცოლი ვიტირო, თუ ფული“. 15 კ. „უმარილის ბრალია“, 10 კ. „ბედმა მიღალატა“, 20 კ. „უმწიფ არშიყი“, და გოდევილი „სოფიო“, 20 კ. ყველა პიესები ნება-დართულია წარმოს ადგენნად. (25—1397—)

## ტფილისი, 20 ივლისი

**საინტერესო განაჩენი.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ „ზაკავკ. რეჩ.“-ის რედაქტორად ნამყოფი ბ-ნ რ. ბებიაშვილი სასამართლომ გაამართლა. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბ-ნი სემიონოვის შუამდგომლობის თანახმად ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა სამართალში მისცა გაზეთის რედაქტორი ცილის წამებისთვის. ცილის წამება კი გამოისახა იმაში, რომ ბ-ნ ბებიაშვილს დაუბეჭდია წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, დირექტორმა სუდაკოვმა, წინააღმდეგ ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულ 1881 წლის სამოსწავლო გეგმისა, რუსული ენის სწავლება იანვრიდან ნოემბერში გადაიტანაო. ბრალმდებლის წინ, ამნაირად, ერთნაირი საკითხი გადაიშალა, სახელდობრ, მართლა გადაიტანა სუდაკოვმა რუსული ენის სწავლება პირველ იანვრიდან ნოემბერში და, მეორეც, ჰქონდა თუ არა უფლება ბ-ნ ბებიაშვილს, ეს ამბავი გამოექვეყნებინა. პროცესის დროს გამოირკვა, რომ სუდაკოვს არამც თუ სცოდნია ეს უკანონობა, არამედ თვით მოუხდენია განკარგულება, რომ სწავლება რუსული ენისა, წინააღმდეგ 1881 წლის გეგმისა, ნოემბრიდან დაეწყოთ. სასამართლომ მოისმინა ბრალდებულის განმარტებანი, გაეცნო 1881 წლის გეგმას და ბ-ნი ბებიაშვილი გაამართლა, მაშასადამე, ამით აღიარა, რომ სუდაკოვს ნება არა ჰქონდა ასე მოქცეულიყო.

1881 წლის სამოსწავლო გეგმა სრულიად უმნიშვნელო უფლებებს უტოვებს სამშობლო ენას სწავლა-აღზრდის საქმეში. ეს ის მინიმუმია, რომლის უარყოფაც უკვე შეუძლებელი იქმნებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ფრთებ შეკვეცილ გეგმასაც ალიმაცერად უცქერიან და ყოველ-ღონის ძიებას ხმარობენ ფაქტიურად გააქსუონ იგი. ბ-ნი სუდაკოვიც სწორედ ერთი ამათგანი ყოფილა. არ შეიძლება არა სცოდნოდა ბ-ნ სუდაკოვს, რომ ასეთი განკარგულების მოხდენა უკანონობაა და თუ მიუხედავად ამისა, მაინც ისე იქცეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, ალბად, იმასაც ბ-ნ ბრალმდებელსავით ეგონებოდა, ამ უკანონობის გამოქვეყნების უფლება არავის არა აქვსო. ამ მხრით მართლაც რომ საზ-გასმულია არგუმენტი ბ-ნ ბრალმდებლისა, რომელსაც განუცხადებია, ბ-ნ სუდაკოვს რომ კიდევ ჩაედინა უკანონობა, გაზეთს ნება არ ჰქონდა ეს უკანონობა გამოექვეყნებინაო. ადვილად ასახსნელია, მაგრამ მაინც გასაოცარია კანონიერების ოფიციალურ დამცველ ბრალმდებლის ასეთი განცხადება. დღემდის გაზეთებსა სჯიდნენ მარტო დაუსაბუთებელ ცნობების გავრცელებისათვის, დღეს კი ბრალმდებელს საჭიროდ მიაჩნია რედაქტორის დასჯა იმისთვისაც კი, რომ მან გამოაქვეყნა უკანონობა. და რომ ბ-ნ სუდაკოვის მოქმედება უკანონო იყო, ამას ბ-ნ რ. ბებიაშვილის გამართლება ამტკიცებს...

## ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდან)

14 ივლისის „ნოვოე ვრემიას“ ნომერში მენშიკოვს მოჰყავს ორი საყურადღებო წერილი თავისი ნაცნობებისა. ერთი მათგანი შეეხება რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას. ერთი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოსმალეთი გამალებული ემზადება სომრად და 1914 წლისათვის შავზღვაზე კიდევაც ეყოლება ორი გემი (დრედნოუტი), მაშინ, როდესაც რუსეთს არ შეუძლიან ამ დროისათვის ცოტათი მაინც გააუმჯობესოს შავი ზღვის ფლოტიო.

„სათათრეთის ომი ჩვენთან მოულოდნებული ამბავი არ არის. იგი ამისათვის გამალებით ემზადება. რუსეთის უკანასკნელმა ნოტამ უფრო გააცხოველა ჩვენდამი ოსმალთ სიძულვილი. ეს გრძნობა გერმანული დიპლომატიის მეოხებით უფრო და უფრო ღვივდება რადგანაც გერმანიას ჰსურს წინ დაგვახვედროს ძლიერი მოწინააღმდეგე და ჩვენი ყურადღება სომხებთან ბრძოლას მიაქციოს. ბალკანეთის სახელმწიფოთა განთავისუფლების შემდეგ ოსმალეთთან ომი მხოლოდ კავკასიაშია შესაძლებელი. ჩვენი მოქმედების ასპარეზად შეიქმნება აზრუმი, ტიგროსისა და ეფრატის ხლართული, შავი ზღვისა და სპარსეთის ყურეს შუა მდებარე ადგილები. არსებული სტრატეგიულ, მდგომარეობა კავკასიის ჯარისა ისეთია, რომ შეუძლიან მთელი ძალა ზემო დასახელებულ ადგილებში მოაგროვოს და იგი დაბუროს. თუ ოსმალეთს დავაცდით აზრუმს სანოვაგე მიაწოდოს არა თუ უგზო მცირე აზიის მხრივ, არამედ შავი ზღვის მხრივაც და ნებას მივცემთ ჯარი გადმოსხან სამსუნში და ტრაპიზონში, მაშინ ორი თვის განმავლობაში კავკასიას დავკარგავთ. შემდეგ დაგვიშენენ ოდესაში და სევასტოპოლში ზღვაზე გზას შეგვიკრავენ ფოთში და სოხუმში ჯარს გადმოსხამენ, კავკასიის მუსულმანები აგვიჯანყდებიან და „რუსეთის გვირგვინის საუკეთესო მარგალიტს დავკარგავთ... ჩემის დაკვირვებით ოსმალეთის ჯარმა ამ სამს წელს ძლიერ წინ წაიწია. მართალია მას ტეხნიკური მომზადება და ფული აკლია, მაგრამ საჭიროების ხელს გაუმართავენ ის სახელმწიფოები, რომელთათვისაც ხელსაყრელია ჩვენი ოსმალეთთან გადაკიდება. თუ არ გვინდა შავ ზღვაზედაც ისე დაგვამარცხონ, როგორც ყვითელზე დაგვამარცხეს, ახლავე უნდა შევუდგეთ დრენდოუტების შენებს.

მენშიკოვი ეთანხმება თავის კორესპონდენტს, მხოლოდ, რადგანაც 1914 წლისთვის დრედნოუტების აშენებას მაინც ვერ მოვასწრებთ, უნდა გავიჩინოთ შავ ზღვაზე წყალ ქვეშ მავალი ნავები. ეს რაც შეეხება ახლობელ აღმოსავლეთს. არც შორეულ აღმოსავლეთიდან მოგვდის მშვიდობიანობის ამბავი.

.... თქვენ, პეტერბურგში მსხდომნი ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაჟღენთილია ჰაერი ომის მოლოდინით. ადგილობრივი პრესა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს. ყველა გზა ციციკარიდან და გირინიდან მუკდენ-პეკინიდან, როგორც „სიბირსკ. მისლი“ იუწყება, სავსეა ჯარითა და ურმებით. ჯარი გერმანული ტყვიის მტყორცნელებით არის შეიარაღებული. ჩრდილო ჩინეთში სალაშქრო მზადებას არც კი ჰმალავენ. თუმცა ჩინეთის ჯარის რეორგანიზაცია დამთავრებული არ არის, მაგრამ მასხალხი მხარს უჭერს და საქმე წინ მიდის ომი შეიძლება ამ ზაფხულ არ მოხდეს, რადგანაც ავდრებისაგან წყალდიდობა მოსალოდნელია, მაგრამ შემდეგ ასე არ იქმნება. ცხადია. გენერ. მარტინოვის მოწინავე ჯარი ძლიერ დაქსაქსულია და ომის გამოცხადებისათანავე ვერ შესძლებს წინამდეგობის გაწევას. ჩინეთს გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს. თუ ომი დაიწყო, ამ ჟამად იგი გართულდება შავი ჭირით. პროფ. ზაბოლტნი ამტკიცებს, რომ შემოდგომაზე შავი ჭირი ისევ თავს იჩენსო. ჩინელებმა თითქოს განზრახ გაავრცელეს ჭირი იქ, სადაც მანჯურიის დაყოფის საქმე უნდა გადასწყდეს“.

ასე რომ, საქმეში ჩაკვირვებულთა აზრით რუსეთს ორის მხრით მოელის საფრთხე: მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთიდან.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნატორმა** ქალაქის მოურავის მოადგილეს წინადადება მისცა: ვადის მოახლოვების გამო, რაც შეიძლება მალე წარუდგინოს მას საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილების განსაჩივრება; ამ დადგენილებით ქალაქის საბჭომ 25 იანვრის კრებაზე გადასწყვიტა ბაზრის ქუჩის პირდაპირ ხეივნის დავიწროება.

✦ **ტფ. გუბერნატორმა, პოლკოვნიკ ნ. ი. არჯევანიძის თხოვნის გამო,** პოლიცმეისტერს წინადადება მისცა მუშაობა შეაჩეროს პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაზე მეორე სართულის დადგმისა; ამასთან გუბერნატორმა საქალაქო დებულებათა 101 მუხლის ძალით ქალაქის მოურავის მოადგილეს წინადადება მისცა, სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს განმარტება თუ რა უფლებით ხელმძღვანელობს მეორე სართულის დადგმის დროს, მაშინ, როდესაც სახელმწიფო საბჭოს 1889 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით ამ ბაღში გუბერნატორის ნებართვით, მხოლოდ დროებით შენობების აშენება შეიძლება; რძისა, კუმისის, სასმელ წყლების და სხვათა გასასყიდად.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სენატორმა ე. ა. ვატაციმ** კვირას, 17 ივლისს, სადგურ ყარაიაზის ახლო გამართული საცდელი ხნულები და სარწყავი არხები დაათვალიერა. მას თან ახლდნენ მიწად-მოქმედ და მიწად-მომწყობ მთავარ გამგის რწმუნებული ახიპოვი და ს.-პეტერბურგის უნ—ტის მეტეოროლოგიის პროფესორი ა. ი. ვოეიკოვი. სენატორი ვატაცი ტფილისში იმ დღესვე დაბრუნდა.

✦ ქალაქის გამგეობის სატეხნიკო საბჭომ გამგეობაში წარდგენილი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ძეგლის პროექტები განიხილა. წარდგენილი იყო სულ ოთხი პროექტი; ორი მოიწონეს. ამ ორ საძეგლე პროექტს ქალაქის საბჭოს წარუდგენენ, რომელიც მათ შორის ერთ ერთს აირჩევს.

✦ **ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს** საექიმო განყოფილებაში კერძო პირთ რამდენიმე თხოვნა შეუტანიათ, რათა ახალ აფთიაქების გახსნის ნება მიეცესთ; თხოვნებში

აღნიშნულია, რომ კანონის ძალით ყოველ 10 ათას მცხოვრებზე ერთი აფთიაქი უნდა იყოს და ტფილისში კი გაცილებით მეტი რიცხვი მოდის თითოზე.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის ტეხნიკი ინჟინერ-ტეხნოლოგი ს. ა. მოსკალიოვი** ბაქოს გუბერნიაში და დაღესტნის ოლქში გაემგზავრა, რაიონების ხალიჩების საქსოვ საფეიქროების დასათვალიერებლად: ბ. მოსკალიოვს დაევალა ქ. ყუბაში ახალი საფეიქრო გახსნას.

✦ **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტი** შეუდგა ძველ აბრეშუმის ქსოვილებზე, ხალიჩებზე და სხვა შინა მრეწველობის ნაწარმოებთა ორიგინალურ უცხო სახის (სურათების) შეგროვას. ამ მიზნით მიწად-მომქმედ და მიწად-მომწყობ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებულმა ბაქოსა, შემახისა და ყუბის ოლქებში კომიტეტის მხატვარი ი. კ. ტაიუბე გაჰგზავნა.

✦ **ქალაქის შემოსავალ-გასავალი.** მიმდინარე წლის იანვარსა, თებერვალსა და მარტში ქალაქის კასაში შესულა სულ 549,266 მან, 66 კაპ. ამ ხნის განმავლობაში ხარჯი ყოფილა—522,947 მან. 35 კაპ.

✦ **ტფ. საკრებულოს** საზაფხულო შენობაში 16 ივლისს ნაყინით რამდენიმე კაცი მოიწამლა, 10 კაცი საშიშრად გახდა ავად. სამკურნალო დახმარება მათ მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს

✦ ვორონცოვის ქუჩა ავლაბრიდან დაწყებული ორთაჭალამდე საძაგელ მდგომარეობაშია. ძლიერი მოძრაობის გამო დილით-საღამომდე ისეთი კორიანტელი სდგას, რომ გამვლელს სუნთქვა უჭირს. საჭიროა ქალაქის გამგეობამ ამ ქუჩის მორწყვასაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

✦ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების წვრილ-კრედიტის მესამე ინსპექტორად პეტერბურგიდან ბ. ბეიფორსი დანიშნა.

## წვრილი ამბავი

✦ 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მუშტაიდში რევოლვერით თავი მოიკლა ვინმე კალაშნიკოვმა.

✦ 18 ივლისს მტკვარში იპოვეს მეეტლის ალექსანდრე ფილიპეს ძე ალექსანდროვის გვამი.

✦ 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე, კიროჩნაია ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონი № 5 დროგს დაეჯახა. მედროგე მეტიქ ბეგორქიანცი მსუბუქად დაშავდა.

✦ 18 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 52 უპასპორტო.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელმა კრებამ,** მხედველობაში მიიღო, რომ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად ამ ჟამად ნაღდად აქვს 1555 მან., გარდა ამისა დეპუტატთა საკრებულო დაჰპირდა, რომ ამავე საქმისათვის 2500 მან. გადასდებს, და სხვა შემოწირულებასაც მოელიან, ამის გამო გამგეობამ დაადგინა: ეხლავე შეუდგეს საქმეს რათა 30 აგვისტოსათვის ძეგლი დადგმული იყოს. **ძეგლს 30 აგვისტოს აკურთხებენ.**

✦ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება დღეს მოჰხდება. განსახილველი აქვს 14 საქმე.

## ბათუმი

✦ ნამესტნიკის კანცელიარიამ **ბათომის თვით-მმართველობას აცნობა,** რომ ნამესტნიკის საბჭოს დადგენილებით, შუამდგომლობა, რომელიც შეეხება 2.200,000 მან. ობლიგაციურ სესხს, შეჩერებულია ხელ-ახალი თხოვნის აღძვრამდეო.

✦ ქალაქის თხოვნა, რომ 1907—09 წ. წ. დარჩენილი უძრავი ქონების სახელმწიფო გადასახადის სარგებლის პატიების შესახებ ფინანსთა **მინისტრმა არ შეიწყნარა.** ნამესტნიკის კანცელარია წინადადებას აძლევს ქალაქს, ეს 3610 მან. 60 კ. დაუყოვნებლივ შეიტანოს.

✦ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება, რათა გამგეობის მდივანი ოთხი წლით ირჩეოდეს ხოლმე. („ბათ. გაზ.“).

## კახეთი

✦ ამ დღეებში **ფშავ-ხევსურეთისა და მთის თუშეთისაკენ** ხალხურ თქმულებათა, ზნე ჩვეულებათა, სიმღერა-ლექსთა შესაგროვებლად მიემგზავრება **ექსკურსია,** რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: მელ. კუხიანიძე, პავ. მოსულიშვილი, ვ. დათაძე, ფოტოგრაფ. მამუჩაშვილი. სასურველია, რომ ადგილობრივ ხელი შეუწყონ ამ ექსკურსანტებს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მთის ზღაპარ-ლექსები და სიმღერები ძვირფას განძს შეადგენს ჩვენის ეროვნულ შემოქმედებისას.

## ახალციხე

✦ ქალაქ გარედ ნიკოლაევის საზერხავ ქარხნებთან პოლიციამ შეიპყრო 77 თენგინის პოლკის სამი გაქცეული ჯარის კაცი: სერგეი კოპეიკინი, ქრისტეფორე მიასნიკოვი და კონსტანტინე ზუევი.

## პროვინცია.

✦ **სოფ. ლამბალო** (ბორჩალოს მაზრა). სოფელთან ახლო იპოვნეს გვამი მოკლულის მუსტაფა მუსა ოღლისა, მკვლელების ვინაობა ვერ გამოარკვიეს.

✦ **ახტალის მადნები** (ბორჩალოს მაზრა). ტყეში მდებარე ასაფეთქებელ მასალების საწყობიდან, რომელიც უდარაჯოდ ყოფილა, ბოროტმოქმედთ გაუტაცნიათ 11 გირვანქა ნაღმი, 138 ცალი კაპსული და 4 გრგოლი პატრუქი. ბოროტმოქმედნი ვერ შეიპყრეს.

✦ **სოფ. ქვაბის ხევი** (ახალციხის მაზრა). ბავშვებში ძლიერ გავრცელდა ყელჭირვება.

✦ სოფ. ჰერეთი. (სიღნაღის მაზრა). უცნობ ბოროტმოქმედთ გაძარცვეს სერგეი მოკაცკი და ივანე აქამოვი, რომელთაც წაართვეს: პირველს— 120 მანეთი და მეორეს—80 მანეთი.

# უმაღლესი სასწავლებელი

**ათას კურსისტ-ქალის დათხოვნა.**

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსების ყველა მოსწავლენი დაითხოვეს. მიზეზი ისაა, რომ გაზაფხულზე ეს ქალები გაფიცულები იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ კურსების მთავრობამ სწავლა 15 თიბათვემდის განაგრძო, სწავლას მაინც არ დაუბრუნდნენ. სამინისტროს განკარგულება არ ეხება მხოლოდ 27 ქალს, 1, 2 და 5 კურსის მოსწავლეთ, რომლებიც მთავრობის მოთხოვნილებას დაჰყაბულდნენ და 18 აპრილიდან სწავლას შეუდგნენ.

ცნობათა მიმცემი ბიურო იუწყება: განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა უნივერსიტეტების საბჭოს დაუყონებლივ შეიმუშავოს ზომები მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებლებში მოსალოდნელ არეულობის საწინააღმდეგოდ. სხვა და სხვა უნივერსიტეტში იყო მიღებული ზომები, გარდა რამოდენიმესი, და მათ შორის პეტერბურგისაში, სადაც ყველაზე დაჟინებით ცდილობდნენ, ეგრედ წოდებულ გაფიცვის მოხდენას. პეტერბურგში უწესოების ასალაგმავად არავითარი ზომა არ იყო მიღებულიო, თუმცა ირკვლიარით ეს ევალებოდათ. უნივერსიტეტის საბჭომ ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ იგი უღონოა უწესოების წინააღმდეგ. მხოლოდ პოლიციური ზომებით მოისპო უწესოება აქ უნივერსიტეტის საბჭო კი ერთად-ერთ საშუალებად უნივერსიტეტის დახურვასა სთვლიდა და პოლიციური ზომების წინააღმდეგი იყო. უნივერსიტეტმა შუამდგომლობაც აღძრა გააუქმონ 4 იანვრის ზომები, და გადაშინჯონ დათხოვნილ სტუდენტთა საქმეები. ამრიგად, როგორც სჩანს უნივერსიტეტი ზომების მიღების ნაცვლად, მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ უნივერსიტეტში შესაძლებელი გახდეს კრებები და უწესოებისათვის დათხოვნილ სტუდენტთა დაბრუნება. სამინისტროს კი პეტერბურ. უნივერსიტეტის შუამდგომლობა წესიერების აღსადგენ საშუალებად არ მიაჩნია, იგი პირიქით ფიქრობს, რომ ამ შუამდგომლობის შეწყნარება კიდევ განვლილ უწესოებას გამოიწვევს, რაც სახელს უტეხს უმაღლეს სასწავლებელს, ამისთვის უარჰყო შუამდგომლობა. სამინისტრო წინადადებას აძლევს უნივერსიტეტს, ყოველივე ზომა მიიღოს, რათა არეულობა არ განმეორდეს და წესიერების დამრღვევთ უნივერსიტეტს კიდევ ხელში არ ჩაუვარდეთ; უნდა ახსოვდეთ, რომ ავტონომია მინიჭებული აქვთ მასწავლებლებს და არა მოსწავლეთო.

# სოფლად

**(გურიის ვითარება).**

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე სოფლის ვითარება; არა ერთხელ აღუნიშნავთ კორესპონდენტებს გლეხის უნუგეშო მდგომარეობა; მაგრამ არასოდეს გურიის გლეხ-კაცობას (გარდა 1905—6 წლებ.) არ განუცდია ისეთი მომენტი, როგორსაც ეხლა განიცდის. ყოველ მხრივ დაჩაგრულს, ყოველივე უფლება აყრილს, მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილს და ეკონომიურად განადგურებულ გლეხ-კაცობას, ასობით შემოჰსევია ყაჩაღთა ბრბო და ლამის არის დაარბიონ, ააწიოკონ მთელი გურია!.. ერთი სიტყვით, გურია ქურდ-ყაჩაღთა ბუდედ გადაქცეულა.

რა არის ამის მიზეზი? ამის გამორკვევას არ შეუდგებით, რადგანაც ჩვენი საქმე ნამდვილ ფაქტების და მომხდარ ამბების აღნუსხვაა.

დღე ისე არ გაივლის, რომ ვისმე არ დაეცნენ, ან დუქან-მაღაზიები არ გაჰქურდონ. 2—3 მანეთისთვის წუთის სოფელს ასალმებენ ადამიანს! შიშით ადამიანს გარედ ვერ გამოუყვია თავი.

იენისში ბახმაროზე მიმავალი სააგარაკოდ მგზავრები გასცარცვეს. ყაჩაღები უგზო-უკვლოდ მიიმალნენ.

ივნისის მიწურულში ს. ბაილეთში 6-მდე ყაჩაღი დაეცა ს. ცინცაძის მაღაზიას; საშინელი სროლა ასტყდა, ბოროტ-განმზრახველებმა გულის წადილი ვერ აისრულეს, რადგან რამდენიმე გარეშე პირის დახმარებით მაღაზია გადაარჩინეს. მძარცველები მიიმალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთი კაცი შეიპყრეს, ვიღაც დოლიძე, რომელსაც ხსენებულ მაღაზიაზე თავდამსხმელ ბრბოში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ. შეპყრობილი ოზურგეთის სატუსაღოში გაჰგზავნეს.

ასეთ ხშირ თავ-დასხმათა გამო, პოლიციამაც სასტიკ ზომებს მიჰმართა, და განკარგულება მოახდინა, სოფლად ხუთ-ხუთი კაცი დარაჯობდეს. წარმოიდგინეთ ყარაულობა და ხალხის გაცდენა ამ გაჩაღებულ საქმიანობის დროს, როდესაც წუთიც კი ძვირფასია გლეხისთვის. ასეთმა ზომებმა ნაყოფი ვერ გამოიღო და ქურდ-ყაჩაღები კვლავ განაგრძობენ თარეშს.

4 ივლისს, სოფლის მამასახლისებმა აზრის უფროსისაგან მოწერილობა მიიღეს, თითო საზოგადოებამ ოთხოთხი წარმომადგენლები აირჩიოს და გამოგზავნოს ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ მისაღებ ზომებზე სათათბიროდაო.

ყველა საზოგადოებამ 4—4 კაცი აირჩია და მაზრის უფროსს აახლა. მაზრის უფროსმა დეპუტატებს განუცხადა, გუბერნატორი სასტიკადა თხოულობს, რომ დააპატიმროთ და მთავრობას წარუდგინოთ ძარცვა-გლეჯის ჩამდენნი და გამოქცეული ჯარის კაცნი (ამათი რიცხვი 100-მდეა), წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ ზომებს მივიღებთო.

ასეთმა განკარგულებამ გურიის გლეხ-კაცობა საგონებელში ჩააგდო.

* *

13 ივლისს გურიის ყველა საზოგადოებათა ყრილობა მოხდა ამ საქმის გამოსარკვევად. დიდი თათბირის შემდეგ **ძიმითის საზოგადოებამ** დაადგინა: ყველა დაიფიცონ, 12 კაცი აირჩიონ, თითოეულ გლეხს ბოროტ-მოქმედთა ვინაობას ფიცით გამოჰკითხავს. ამ დადგენილების განხორციელებას შეუდგნენ. ვნახოთ, რა ნაყოფს გამოიღებს.

* *

**ჯუმათის ბაზრობა** 1 ივლისს დაიწყო, მაგრამ ორი—სამი დღის შემდეგ ისევ დაიშალა, უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ბაზრობა უდროო დროს დაიწყო, გლეხებს ყანები დაუმუშავებელი აქვთ და ამ ბაზრითვის სად სცალიანთ? ბაზრობა სხვა დროს შემოდგომაზე იწყებოდა ხოლმე (სექტემბრის ნახევრიდან), და ეს დრო, საუკეთესო დრო არის გლეხებისათვის. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბაზრობის მომწყობი?!

* *

ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია **ჯუმათის მონასტერი.** როგორც ყველას მოეხსენებათ, ეს მონასტერი თამარ-მეფის დროსაა აშენებული, და ბევრი სიძველე, მე-7 საუკუნის მხატრობა და ხელოვნება მოიპოვება. ამ მონასტრის მოძღვრად ითვლება მამა ალექსანდრე ბოჭორიშვილი, კაცი კეთილი და სათნოიანი. აქ, სხვათა შორის, ნახავთ მე-7 საუკუნის ხელით დაწერილ სახარებას, რომელიც სრულებით არ გაირჩევა ნაბეჭდისაგან, და ხეში თვალ-მარგალიტებით მოჭედილ ჯვარს, რომლის ხელოვნება განცვიფრებაში მოიყვანს თანამედროვე კულტუროსან ადამიანს!... არ შეუდგები ყველა იმ ძველ ხუროთ-მოძღვრებათა აღწერას, რადგანაც ეს მკვლევარის საქმეა, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ მონასტერში ბევრი საუნჯე ინახება, რომელიც ქართველთა სიამაყეს შეადგენს. ამ რამდენიმე წლის წინად ამ მონასტერში მახლობლად ბერი არსენ კალ—ძე, რომელმაც მონასტერთან სახლი ააშენა. მამა არსენი გადაიყვანეს. ამ ჟამად ამ სახლში მოაგარაკენი ბინადრობენ, ტაძრის ეზოში კი უსუფთაობა და სიბინძურეა.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს და სახლი სხვა ადგილას გადაიტანონ.

ძ. კ—ძე.

# ფრიდრიხ ნიცშე

**წერილი მესამე.*)**

ის ძლიერი პიროვნება, რომელზედაც ამ წერილში გვექნება ლაპარაკი, **მაქს შტირნერი იყო.** მთელ ევროპის ლიტერატურაში მხოლოდ იგი სდგას მარტოდ მარტო, დავიწყებული და ათასში ერთხელ თავისებურ ძლიერ პიროვნებათა მიერ გახსენებული, თავის შიშველ ინდივიდუალიზმის აპოთეოზით „ახალ პოეზიის კარებთან“, რომელიც ალიდოს მიხედვით სრულს ინდივიდუალურს განთავისუფლებას მოითხოვს.

ოცნებაა ეს თუ გულუბრყვილობის იდილლია, ჩვენ არ ვკითხულობთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ადამიანის ცხოვრება მეტად აუტანელი იქმნებოდა, რომ მას ოცნება არ შესძლებოდა. მაგრამ ტანჯვათ შემსუბუქება მარტოოდენ ერთი ოცნებით და მომხიბვლელი ზღაპრებით ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ცხოვრება მუდამ თავისას ითხოვს, ითხოვს, რომ ადამიანი ბუნებრივად იქცეოდეს, ფრთა შეაკვეცოს არწივისებურ ლეგა ღრუბლებში ნავარდობას, ისე დაემორჩილოს ბუნების სასტიკ კანონებს და იგინივე იცნოს საკუთარი ყოფა ქცევის აუცილებელ ნორმებად. ამასთანავე ცხადია, რომ ამა თუ იმ არა ბუნებრივ მოვლენისაგან არის დამოკიდებული, თუ სახელდობრ რა უნდა ჩაითვალოს მასთან ბრძოლაში ნაძრმალურად და იდეალურად? ასე, მაგალითად, ძველად, ცინიკები და სტოიკები ბუნებრიობის იდეალად მოთხოვნილებათა უქონლობასა სახავდნენ, ხოლო ამ ახლო წარსულში ჟანჟაკ რუსსოს მოწოდება, რომ ბუნებას დაბრუნებოდა კაცობრიობა, იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ „გვეტხოვრა, ვითარცა უცოდველ ბავშვებს იდეალურს ნეტარებაში!“ მაგრამ ამ ბუნებრიობამ, მეცნიერულ ენაზე—ნატურალიზმმა, მეცხრამეტე საუკუნის წარმომადგენელთა ხელში სულ სხვაგვარი სახე მიიღო. განსაკუთრებით ლიუდვიგ ფეიერბახისა, ხსენებულ მაქს შტირნერისა და შემდეგ თვით ფრიდრიხ ნიცშეს ხელში. განსაკუთრებით საყურადღებოა მაქს შტირნერი, რომელიც ფეიერბახთან ერთად ითხოვდა, რომ უარი ეყოთ ყოველგვარი სუპრანატურალიზმი და საკუთარ ეგოიზმისთვის მიეპყროთ მთავარი ყურადღება. მისი აზრით „მე“-ს არავითარი ვალდებულებანი და კანონები არ უნდა უზღუდავდნენ გზას, რათა იგი ყოველ მხრით განთავისუფლებული იყოს, სრულიად დამოუკიდებელი.

მის დოქტრინას ორი უკიდურესი მხარე აქვს: დესტრუქტიული და კონსტრუქტიული (დანგრევითი და შენებითი). ჩვეულებრივი კრიტიკა ამ საინტერესო პარადოქსალურს დოქტრინაში მხოლოდ პირველსა ჰხედავს, მეორეს კი, სამწუხაროდ, უყურადღებოდ სტოვებს. ჩვენ ვეცდებით ეს ორივე მხარე მიუდგომლად გადმოვიღოთ.

ინდივიდუალიზმის სახელით საზოგადოდ იმ მოძღვრებას ჰგულისხმობენ, რომელიც ამტკიცებს პრიმატს, ანუ პიროვნების უპირატესობას. მაგრამ ამგვარი განმარტებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, ვინაიდან პრიმატი და პიროვნება მრავალფეროვნად გაიგების, ერთი ცნების ლოგიკური პრიმატი მეორის წინაშე, ცნების მეთოდოლოგიური პრიმატი საგანთა შესწავლის დროს, გენეთიური პრიმატი ერთი კონკრეტიული მომენტისა მეორე კონკრეტიულ მომენტის წინაშე და, ბოლოს, ტრანსცენდენტული პრიმატი ერთის ღირებულებისა მეორესთან შედარებით; ყველა ეს არსებითად და მეთოდოლოგიურად სულ სხვა და სხვა წარმოდგენანი არიან. ამიტომ ჩვენის აზრით, ინდივიდუალიზმი ფილოსოფიური დოქტრინაა, ე. ი. მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს არა პიროვნების პრიმატს საზოგადოდ, არამედ პიროვნების უპირატესობას ყველა ღირებულების წინაშე. ამ მცირე განმარტების შემდეგ, ინდივიდუალიზმი იქმნება არა ფორმალოლოგიური, არა მეთოდოლოგიური ანუ გენეთიური ტერმინი, არამედ ფილოსოფიურმეცნიერული. ამის შემდეგ თავს ვანებებთ სხვადასხვა ფილოსოფიურ და არა ფილოსოფიურ ინდივიდუალიზმის ანალიზსა და კლასიფიკაციას, რათა წერილი არ გაგვიგრძელდეს, და პირდაპირ შევეცდებით შტირნერის მოძღვრების სქემატიურ გადმოცემას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით შტირნერმა არ უწყის ტერმინები „ინდივიდუუმი“, „პიროვნება“. მისი საყვარელი ტერმინი თავის აზრების დასახატად არის „მე“, „ich“. მისი „მე“ ფრიად განირჩევა ფიხტეს „მე“-საგან. მისი ძირითადი თვისება ის გახლავთ, რომ „მე“ „ერთად ერთია“. ერთად ერთია იმიტომ, რომ იგი არასოდეს არ განმეორდება. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ერთი პიროვნების მსგავსი არ შეიძლება მეორე იპოვებოდეს. მაგრამ როდესაც მსგავსობისა და გაუმეორებლობაზე ლაპარაკობს, იგი ჰგულისხმობს არა ერთ რომელიმე დარგში მსგავსებას, არამედ ერთ მთლის და მეტად რთული კომპლექსის მსგავსებას. შტირნერი იღებს ადამიანის პიროვნებას როგორც მთელს, განუმეორებელს და, მაშასადამე, ერთადერთს. „როგორც ერთად-ერთს,— ამბობს შტირნერი,—მას (პიროვნებას ანუ იმის „მეს“) არაფერი საერთო არა აქვს რა სხვებთან“.*) პიროვნებათა შორის მხოლოდ ერთი რამ არის საერთო—ეს გახლავთ უთანხმოება, მაგრამ ესეც მესამე პირისათვის არსებობს, ვინც რომ შედარებას ახდენს.**)

პიროვნება გაუმეორებელია, გაუმეორებელია იმიტომ, რომ მეტად რთული არის და რთულია იმიტომ, რომ უსაზღვროდ კონკრეტიულია. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ პიროვნებას აქვს თავისი ემპირიული სინამდვილე, ემპირიული არსებობა, (être бытie), რომ იგი რეალურია. იგი თავიდან ბოლომდე იმას იმეორებს, რომ „მე“ ეს ჭეშმარიტი ადამიანია, „Der vinkleich Mensch“, რომ „მე“ ეს რეალური ადამიანია, რეალური კი მისი აზრით მხოლოდ ის არის, რომელიც ემპირიულ კონკრეტიულობას შეიცავს. შემეცნება მხოლოდ ადამიანის გონება არის. „ჩემი“ აზრი, „ჩემი“ შემოქმედება: „მე“ მას ვქმნი და „მე“-ვე ვანგრევ მას. მხოლოდ ადამიანისაგან, მხოლოდ „ჩემგან“ ხდება აზრი რეალური; „მე“ თუ ვინდომებ, კიდეც დავანგრევ მთელ მის ჩონჩხს“. საზოგადოდ როგორც შემეცნება, მხოლოდ რაღაცა განყენებული რამ არის, ცალიერია, უსიცოცხლო. და აი, სწორედ ამ უსიცოცხლო საზოგადო მხარიდან განთავისუფლებული უნდა იქმნეს ცოცხალი ინდივიდუმი. იგი, ე. ი. ადამიანი, რეალურია არა როგორც „საზოგადო ადამიანი“, არამედ როგორც „ერთეული არსება“,*) სახელდობრ ამ ერთეულ ადამიანისაგან არის დამოკიდებული ყოველისფერი, რათა არსებობს (Ètre) მისცეს ნამდვილი თავისი სახე, შემეცნება. პარტია, ხალხი, საზოგადოება, კაცობრიობა, შტირნერისათვის არ არის რეალური, ესენი მხოლოდ აჩრდილნი არიან, მათი რეალობა მხოლოდ ერთეულში გამოიხატება.**) მისი აზრით „გვარი არაფერია“, და არა თუ გვარი, ყველა ზემოდ ჩამოთვლილი „მე“-ს არ შეადგენს, არც ერთ მათგანს არა აქვს საკუთარი „მე“.***) თეორიული რეალიზმი და სოციალური უნივერსალიზმი—აი ეს ორი ტერმინი, რომელიც ასე რიგად სძულს შტირნერს. მათი ძალიდგან განთავისუფლება კონკრეტიულ პიროვნებისა,—აი მისი უმთავრესი მიზანი, მისი ოცნების უმთავრესი დანიშნულება.

ამნაირად, რეალურია მხოლოდ ერთეული, ერთეული ადამიანი, ერთეული ხალხი. შტირნერის პიროვნება ემპირიულად კონკრეტიულია. „მე“, ეს ცოცხალი მე არის, ეს ერთეული ადამიანია, კერძო ადამიანი, ვინაიდან, მხოლოდ იგია ადამიანი. ადამიანი კი ეს შენ ხარ, მე, ჩვენ. ეს აზრი არ არის, არც თუ იდეაა, არა იდეალი, ანუ პრინციპი; ეს—ეს ადამიანია; ეს ეს „მეა“; ეს თვით ცოცხალი „მე“-ა; ეს მე ვარ; „Hans oder Kunz“; ეს ხორციელი მეა; „Der leibhaftige Kunnz“; ადამიანი, აღებული როგორც ერთეული რამ, ხორციელი, მთელი მისი ცხოვრებით აღებული; ხორცშესხმული სული; არა მარტო სული, არამედ რაღაცა სულზე გარდამეტებული; სულზე გარდამეტებული და მარტოოდენ სხეული: „Qanze und leibhaftige Person“; leibhaftiges Ich; ეს „მე“-ა, უკანასკნელი, გარდამავალი, მომაკვდავი: წინ წამოყენებულია ადამიანი.**)

ერთი სიტყვით, შტირნერის პიროვნება ემპირიულად კონკრეტიული ადამიანია, ადამიანი აღებული მთელი თავისი რთული სახით, მთელი თავისი თვისებით, მისწრაფებით, ლტოლვილებით, სულით თუ ხორცით. სახელდობრ ეს ის პიროვნებაა, რომელზედაც შტირნერი ამბობს, რომ მისი განმარტება შეუძლებელია, მისი მხოლოდ აღწერა შეიძლებაო.*) მხოლოდ ამის შემდეგ იგი ხდება მის მისწრაფების გამოსავალ წერტილად და უაღრეს ღირებულებად.

მაგრამ თუ შტირნერის პიროვნება არის რაღაცა ემპირიულ-კონკრეტიული მაშასადამე, მასშივე უნდა გამოიხსნას ახალი სხვა თვისებანი, რომელნიც ყოველ ემპირიულსა და კონკრეტიულს თან სდევენ ხოლმე, ეს ახალი თვისებანი შეგვიძლიან ერთი საზოგადო სახელით დავახასიათოთ: ირაციონალობა!

სახელდობრ ემპირიულ-კონკრეტიულის ის თვისებანი, რომელნიც ჰეგელმა თავის ფილოსოფიაში სამ-

*) იხ. „სახ. გაზეთი“ N 355.

*) Stirner, Der Einzige und Sein Eigenthum, 241 გვ.

**) ibid, 243 გვ.

*) Der Einzige... 22,—23. 168, აგრეთვე 238, 285 გვ. და სხვ.

*) Der Einzige, 291.

**) ibid, 213, 271.

*) Der Einzige, 207, 271, 235, 292, 196, 132, 129, 240, 255, 175, 178, 166, 204, 202, 203, 205, 21, 42, 62, 74, 91, 199, 51, 203, 364, 425, 283 და სხვ.

*) Der Einzige, 201.

# ფრენა

რუსეთი.

კიდევ ორი მსხვერპლი მოიტანა პეტერბურგიდან მოსკოვის გადაფრენაში გაჯიბრებამ. პეტერბურგიდან 20 ვერსის მანძილზე მოტორის გაფუჭების გამო 80 ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა სტუდენტი-ტეხნოლოგი სლიუსარენკო და შიმანსკი. უკანასკნელი დაიმსხვრა, ხოლო სლიუსარენკომ მარცხენა ფეხი მოიტეხა. ფარმანის აპარატი № 6, რომელზედაც აფრინდა სლიუსარენკო, ამას წინად უვარგისად იცნო მფრინავმა ჰუტდინსკიმ, მერე-აგაფონოვმაც. და უარი განაცხადეს მით აფრენაზე. სლიუსარენკომაც სცადა მითი ფრენა, მაგრამ მაშინაც უვარგისი გამოდგა, ამისდამიუხედავად მას მაინც დაურწმუნებია კომიტეტი და ფრენის ნება მიუციათ, შედეგი ასეთი უბედურება იყო, ახლა დაიწყება გამოძიება და შეიძლება კომიტეტმა ასეთ ნებართვისათვის საყვედური მიიღოს. შიმანსკის ფრენა უსწავლია საზღვარ-გარედ. აფრენის წინად მას უთქვამს: „თუ დღეს არ გავფრინდი მოსკოვისაკენ თავს მოვიკლამო. მთელი ქონება ამაზე გადავაგე და ყელთამდე ვალებში ვარო.

**საზღვარ-გარედ**

ამჟამად ყველას ყურადღებას საფრანგეთის ფლოტის **მიჩმან კონოს** პიროვნება იქცევს. **ანდრე მომონის** ფსევდონომით იგი მონაწილეობას იღებდა პარიზიდან რომს და მთელს ევროპის ირგვლივ გადაფრენაში პირველობა მიიღო. რომში, სადაც ხელით დაჰყავთ, იგი წინაღუდგა რომიდან ტურინში გადაფრენის გეზს, რადგანაც გეოგრაფიული მიზეზებისა გამო ძლიერ საშიშარი გზა იყო, მფრინავთა წასაქეზებლად იტალიელებმა დამატებითი ჯილდო დანიშნეს. გაფრინდა მხოლოდ ფრეი და დაიმსხვრა კიდეც, თუმცა სიკვდილს გადარჩა. უტრეხტში კი კონო ისეთს ქარიშხალში აფრინდა, რომ ფრენას ვერავინ გაჰბედავდა. ამბობენ, კონოს აქვს პოლანის საზრიანობა და ლატამის გამბედაობაო. ასეთი სასპორტო ნიჭის წყალობით იგი ყველა მფრინავთაგან განირჩევა, როგორც ინტელიგენტი მფრინავი. საფრანგეთში ღირსეულადაც აფასებენ ასეთებს. კონომ ჯერ-ჯერობით ფრენას დაანება თავი და სამსახურს დაუბრუნდა. ახლა იგი თავის სიძესთან ერთად ცდილობს შეაერთოს საფრენი მანქანა და წყალქვეშ მავალი გემი. ამრიგად ისინი ცდილობენ შეავსონ ნავის ის ნაკლი, რომ იგი ვერსად ჰხედავს, როცა წყლის ქვეშ არის,

საფრანგეთში ემზადებიან პარიზიდან ახლო მდებარე ქალაქებში ფრენას პარიზში დაბრუნებით. ასეთი ფრენა დანიშნულია 30 ივლისისათვის, უკანასკნელი 6 აგვისტოსთვის.

**გერმანიაშიაც** მოხდა ფრენა და იგი იმით იყო საყურადღებო, რომ თითქმის ყველა მფრინავმა მგზავრი გაიყოლა. გერმანელები მაინც კმაყოფილნი არ არიან, რადგანაც ამ ფრენის მოწყობაზე ბევრი დაიხარჯვიათ. საც დღელ ფრენის დროს დამსხვრეულ საფრენის ზარალი 400,000 მარკას უდრის. „ამ ფრენამ საავიაციო თანხა სულ გამოსწოვა-“—ამბობენ გერმანელები. სანაცვლოდ მიუნხენიდან, ბერლინში 30 ივნისს გიპტის ფრენა ძლიერ ლამაზიც და იაფიც დაჯდა. **გიპტმა** 50000 მარკა მიიღო. პრემია დანიშნა „კარტეინერის“ ყავახანის ფირმამ. გერმანულ კონსტრუქციის მანქანით ფრინავდა რუმპლერ-ეტრიხის.

# მოწერილი ამბავი

**სოფ. კავთისხევი.** (გორის მაზრა). რადგანაც პირველმა წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ადგილობრივ სცენის მოყვარეთ აზრადა აქვთ მეორე წარმოდგენაც გამართონ. როგორც სცენის მოყვარეებს გადმოსცეს, ქართულ თეატრის არტისტებს ბ-ნთ ვალ. გუნიასა და ვასილ აბაშიძეს განუზრახავთ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენის გამართვა. სოფ. კავთისხევი, როგორც წინადაც გიწერებდით, დიდი სოფელია და ძალიან მალეც იზრდება. ამიტომ სისტემატიურ წარმოდგენების მართვა ადვილად მოხერხდება, სოფელმა რომ როგორმე წარმოდგენებისთვის შესაფერი ბინა გამონახოს.. სოფ. კავთისხევს საკუთარი შენობის აგება არ გაუჭირდება, მითაცე რომ იცის და სოფელსაც გააგებინოს მნიშვნელობა ამნაირ შენობისა.

გუბერნატორმა უკვე ნება დართო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო სოფ. კავთისხევში. უკვე მზადდება ნიადაგი და მალე ადიძრება შეამხდომლობა წვრილ კრედიტის ამხანაგობის დაარსების თაობაზე. ასე რომ ყველა ამ საკულტურო დაწესებულებათ უეჭველად ბინა დასჭირდება ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა. კარგი იქნება, თუ სოფელი ერთს შენობას ააგებს და ყველა დაწესებულებებს შიგ მოათავსებს.

მაგრამ სანამ ეს მოხერხდებოდეს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის მაინც ეხლავე საჭიროა ბინა და ადგილობრივმა ინტელიგენციამ იმისთვისაც უნდა იზრუნოს... **კავთისხეველი.**

—

**სამიქაოს საზოგადოება** (სენაკის მაზრა). კვირას, 10 ივლისს, დამის 8 საათზე ადიდებული მდინარე ცხენის-წყალი ნაპირიდან გადმოვარდა და განაპირა სოფლები: გეზათი და ქოლობანი ერთიანად წალეკა. ზოგ გზათაბაში და ყანებში ვეებერთელა ნავი მოცურდებოდა. რადგან ადრიანად შევიტყვეთ ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა საქონელი ბევრი დაირჩო. ნათიხი სიმინდები და პალ-ბოსტნები სულ გაათხრა. საბედნიეროდ წყალმა მალე დაიწია, მაგრამ საშინლად აურიოდებული. ტალახი ბევრი დასტოვა, რის გამოც მცხოვრებთ დროებით ბინა იცვალეს. ბევრჯერ აუხსნებია ჩვენი კარ-მიდამო და სიყანე ადგილები ამ გიჟმაჟ-მდინარეს, მაგრამ ვინაა ჩვენი პატრონი.

**15** ივლისს, ადგილობრივი მოხელის განკარგულებით შესდგა კომისია, რომელმაც დაათვალიერა და შეაფასა წყალდიდობით დაზარალებული ადგილები, რომლის შემდეგ აღმოჩნდა: ქოლობანში: ოთხი ათასი მან. ზარალი, ხოლო გეზათში-ათასი მანეთის. **ის. მილორავა.**

—

**ს. ტობანიერი** (ქუთ. მაზრა) ქართულ გაზეთებში საქართველოს ყოველ კუთხიდან იწერება სოფლის ბედზე მდგომარეობისა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ის, რაც სოფლად ხდება, თუ თქვენი თვალით ვერ ნახეთ. მართალია სოფელი არის ერთად ერთი ბუდე სადაც ყველა შავ ძალებს მოუკალათებია და ტყავს აძრობს ხალხს. სოფელ ტობანიერსაც იგივე ითქმის.

ს. ტობანიერი ქუთ. მაზრაშია, სამტრედიის ახლოს, რომელსაც ერთის მხრით არტყია მშვენიერი რიონის ჭალები, მეორე მხრივ-მთის ფერდობები, სადაც სოფელია გაშენებული. აქ მოჰყავთ სიმინდი, ღომი, ლობიო, ბამბა, მისდევენ მეაბრეშუმეობას, მევენახეობას და მებაღეობას. გარეგნად რომ შეჰხედოთ, სოფელი მშვენიერ შთაბეჭდილებას მოახდენს: ამწვანებული ჭალები, მშვენივრად გაშენებული ამერიკული ვაზი, კოხტა სახლები, მშვენიერი ბაღებით. ასე რომ, ჰფიქრობთ სოფელი ბედნიერ ცხოვრებას ატარებსო, მაგრამ როდესაც საქმეს გაეცნობით თქვენს თვალ წინ სულ სხვა სურათი იშლება. მთელი სოფელი რაღაც ჯადოსნური ძალით არის შებოჭილი. ეს ამოდენა აბრეშუმის პარკი, ღვინო, ლობიო. სიმინდი და ხილეულობი პატრონებს ჩალის ფასად გვერდება. ჩარჩები, ეს სოფლის წურბელები, ხელში აღებიან რაც საწყალ გლეხს მოჰყავს წლის განმავლობაში და ყოველივე გასაყიდი ჩარჩის ხელში გადადის და ამ რიგად სხვისი ნაოფლარით თვითონ მდიდრდებიან, ხალხს კი თავისი ინტერესები ვერ შეუგნია, რომ თავის ნაშრომს თვითონ მოუაროს, მით უმეტეს, რომ აქ ადგილი მოსახერხებელია **წვრილი კრედიტის და კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება.** ეს მით უმეტეს მოსახერხებელია, რომ საზოგადოებას აქვს რამოდენიმე ათას მანეთამდე, რომელიც ეხლა კერძო პირსა აქვს მიბარებული. მაგრამ ამ საქმის მეთაური არავინ არის.

აქ არსებობს სამინისტრო ორ კლასიანი სკოლა, არიან რამდენიმე სემინარისტი მღვდლები და ზაფხულობით სტუდენტობაც. მაგრამ თავს არავინ იტეხავს ასეთ საქმისათვის. აქაური ინტელიგენტები თავის ცხვირს იქეთ არაფერს ხედავენ. საქმე იქამდე მიდის, რომ ერთად-ერთი სამკითხველო წ. კ. გ. ს-საც კი დაიკეტა.

მაგრამ უკაცრავად მკითხველთან, თუ ინტელიგენტები არაფერს აკეთებენ ნასალდათარ ყმაწვილებს ეგეთებს ვერ დავსწამებ, რადგანაც ისინი გაჯე მუშაობენ ხალხის ჯანმრთელობისათვის. გაჩნდენ ვიღაც ნაფელშერიძე და ფარცხალაძე, რომლებმაც ექიმობას მიჰყვეს ხელი, მედიკური განათლება კი მიიღეს სამხედრო ბეგრის მოხდის დროს. ესეც ახალი მოვლენა ყოფილა, რომ სალდათები ყაზარმებში სამედიკო ფაკულტეტს ათავებენ. ეს კიდევ რა, მაგრამ ამათ ამოუდგა გვერდში ხარკოვის უნივ. სტუდენტი-მედიკი ზ. მილორავა, რომელმაც სტუდენტობის პირველ წლიდანვე დაიწყო ხალხზე ექსპერიმენტების მოხდენა და გასამრჯელოსაც გარკვ იღებს, რადგანაც მისი სიტყვებისა არ იყოს, ხალხს ის ესაჭიროება და ისიც ამიტომ თავის შრომას აფასებს. რა ვქნათ, სოფლად თურმე ყოველივერი მოსახერხებელი და საკადრისი ყოფილა.

დღეს სამღვდელოებას თვითონ მრევლი ირჩევს. თავის-თავად ამ პატარა მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენისთანა მოუმზადებელ ხალხისთვის. ჩვენ გვეგონა რომ ჩვენი სამღვდელოება ამ შემთხვევას გამოიყენებდა, სხვა რომ არა იყოს რა იმიტომ მაინც, რომ ეს რეფორმა სამღვდელოების მოთხოვნილებას შეადგენდა ამ რამდენიმე წლის წინად, მაგრამ ამორჩევის სისტემა დღეს გარდიქცა სავაჭრო საგნად. გაიხსნება სადმე ადგილი თუ არა, სამღვდელოება, ან სამღვდელო პირი, მაშინვე დაიწყებენ ქრთამის ხარჯვას, ღირსი და უღირსი არავითარ ზომას თაკილობს რომ მღვდლობა იგდოს ხელში. მე არ მსმენია რომ სამღვდელოების რომელიმე ნაწილს მაინც გაეწიოს წინააღმდეგობა ასეთ მოვლენისათვის და აეხსნას ხალხისთვის არჩევნების აზრი და მნიშვნელობა. **ან. ქაქელიძე.**

# უცხოეთი

მაროკო.

ამას წინად ინგლისის პირველმა მინისტრმა ასკვიტმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა: საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებაში ინგლისი არავითარ მონაწილეობას არ იღებსო. მთავრობას იმედი აქვს, რომ მოლაპარაკებას ყველასათვის დამაკმაყოფილებელი ბოლო ექნება. ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ საქმის ძალიან გართულება ადვილი შესაძლებელია, თუ მოლაპარაკება მორიგებით არ გათავდა, ამ მოლაპარაკების დაწვრილებით დახასიათება ეხლა მოუხერხებელია, ეს არასასურველ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, ამიტომ პრემიერმა სთხოვა პალატას, მოლაპარაკების წვრილმანის გადმოცემას ნუ მომთხოვთო. ინგლის მოლაპარაკებას ხელს არ უშლის, და თუ ამის საწინააღმდეგო რამეს ამბობენ, ეს მხოლოდ სიცრუეა. ინგლისს არა სურს, რომ მაროკოს საქმეში დიდ-მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს, მაგრამ იგი არც ისე უნდა მოიქცეს, რომ თუ ბოლოს ინგლისის ინტერესები საფსებით იქმნება დაცული, ვისმე ეს გაუჭირდესო. ამიტომაო, სთქვა ასკვიტმა, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებაში ინგლისმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოსო.

ამავე დროს ხმა გავრცელდა, რომ ის ხიფათი, რომელიც მაროკოს კრიზისს მოჰყვებოდა, აღარ არსებობსო. გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ასეთი კარგი მდგომარეობა ჯერ არა ყოფილაო. საადმირალო [illegible] განაცხადა, რომ ნორვეგიის ნაპირებში გემების გაგზავნა მაროკოს საქმით კი არ არის გამოწვეული, არამედ ჩვეულებრივ მიზეზებითაო. ინგლისური გაზეთები კი ემუდარებიან პირველ მინისტრს, ნათელი მოჰფინე მაროკოს ბნელ საქმეს და ყველაფერი დაწვრილებით გაგვაგებინეო.

ძნელი გასაგებია, რა ხდება ევროპაში ვის რა უდევს გულში. მიუხედავად იმ ხმებისა, რომელიც ეხლა ზემოდ მოვიყვანეთ, ინგლისის ერთ მინისტრს უთქვამს, შავბნელი ღრუბლები დაზწვა ევროპასაო. ეს განცხადება მით უფრო დასაფიქრებელია, რომ როგორც ერთ ინგლისელ დეპუტატს უთქვამს, ინგლისის მთავრობას თავის სამხედრო ფლოტისათვის უბრძანებია, მზად იყავ, რა წამს ბრძანება მოგივიდეს, მაშინვე ჩრდილოეთის ზღვაში შედი და გერმანიის ნაპირებისაკენ გაემართეო. ამას გარდა ინგლისის ფლოტის ბანაკად კრომარტის ასახელებენ. ეს საუკეთესო ადგილია და ინგლისს აქედან პირველი დაკვრა ძალიან გაუადვილდებაო. გერმანელი დიპლომატები თავს ისე იჭერენ, ვითომც-და ყველა ამას დიდ-მნიშვნელოვნად არა სთვლიან, მაგრამ გერმანიის საზღვაო სამინისტრო კი ძალიან შეშფოთებულია. მან ძველი გემებისაგან მესამე ესკადრაც კი შეადგინა და ჩრდილოეთის ზღვაზე გაგზავნა, ვითომდა აღლუმისათვის.

საზოგადოდ გერმანია, როგორადაც ომის გუნებაზეა. მისი რეაქციონური გაზეთები მდგომარეობას უფრო ამწვავებენ, ეს გაზეთები გერმანიის მთელ ერს იწვევენ შესაერთებლად და შოვინიზმს აძლიერებენ. გაზ. „ველნიშე ცეიტუნგ“-ში ერთი წერილი დაიბეჭდა, რომელიც ომს იქადოდა. ყველა ამას საფრანგეთის გაზეთები დიდ ყურადღებას არ აქცევენ. გერმანულ გაზეთებმა ეს „ჩხავილი“ იმიტომ დაიწყეს, რომ გერმანიის შეშფოთება დაჰფარონ. გერმანია სრულიად მოუმზადებელად სამთა კავშირს შეხვდა პირისპირ და დაიბნა.

**ოსმალეთი და ჩერნოგორია.**

„რუს. სლოვოს“ კორესპონდენტი არწმუნებს, ოსმალეთის მთავრობამ თავის ცეტინიელ ელჩს უბრძანა ბეის დაავალა, რომ მალისორებს მოლაპარაკოს და კიდევ დაუთმოს რამე, და-

---

სჯავროს გარეშე დააყენა, შტირნერმა სიხარულით მიიღო, როგორც უმაღლესი და უძვირფასესი რამ და თავის დოქტრინის ქვაკუთხედად დასდო. ჰეგელი კონკრეტიულ-ემპირიულს ჰგულისხმობდა როგორც მომენტთა რომელიმე რთულ სისრულეს; ეს კონკრეტიული არსებობა (être-бытие) მის თვალში მუდამ მოძრავი და ცვალებადია, მომდინარევე „ყოფნა“ და „გახდომა“, რომელსაც რაციონალურ ტერმინებით ვერ აღვნიშნავთ, ანუ რომელიც არ შეიძლება ლოღიკურ მსჯელობის სუბიექტი გახდეს. იგი ფრიად მდიდარი და პოპულიარია ერთი მხრით, მაგრამ ეს არის უფრო გონების მხრივ. კონკრეტიულ-ემპირიულის სისრულე, მთელი მისი სიმდიდრე ჰეგელისათვის მეტისმეტად ფასდაუდებელი რამ არის, ვინაიდან იგი მხოლოდ იმას აფასებდა, რასაც გონიერ ფორმებში შეეძლო მოთავსება. ხოლო ირაციონალური, რომელსაც არ შეეძლო რაციონალურად გახდომა, მისთვის რაღაცა საცოდავი რამ იყო, რის წარმოდგენაც შეუძლიან ადამიანის გონებას. შტირნერისათვის კი სულ სხვა რამ არის.

ირრაციონალური სიღრმავე და კონკრეტული სირთულე, ემპირიულად რეალური პიროვნება შტირნერში არავითარ საბრალმდებლო ოქმს არ იტანს. იგი მისთვის უაღრესი რამ არის, აღტყინებული სიხარული, პათოსი. აქ არ არის შეჩერებული რამ, მკვიდრი, ყოველისფერი შემოქმედებაზეა დამყარებული. იგი თავის თავს ყოველ წუთსა და ჟამს სულ ახალ-ახალი სახით აცხადებს, ყოველისფერს ანგრევს და ჰხსნის. მის შესახებ არასოდეს არ შეიძლება ითქვას, თუ რა არის იგი, ან როგორია, იგი მუდამ ცვალებადია და ამ ცვალებადობაში ჰხედავს მხოლოდ თავის უმთავრეს დანიშნულებას*).

ერთი სიტყვით, შტირნერის პიროვნება-ეს აღმოსავლეთელ სულთანის წალკოტში მთვარის სხივებზე აუზიდან მძლავრად ამომჩქეფი შადრევანია, რომელიც გაცრილ მარგალიტებსავით სხივებზე მისხლტიან მაღლა-მაღლა, ჰკოცნიან ეთერს, ჰკოცნიან და ილტვიან, რომ რაც შეიძლება წინ გაუსწროს ერთმა ცვარმა მეორეს, მაგრამ არც ერთი მათგანი არა ჰგავს მეორეს, არც ერთი მათგანი არა რჩება სრულ თავის სახით, და აი, სწორედ ამ მრავალ-ფეროვნების ჰვრეტაში შვებას ეძლევის ტანჯული სული...

ამ გამუდმებულ ცვალებადობაში შტირნერის პიროვნება არ შეიძლება რომ ერთ ცნების ქვეშ დავაყენოთ. იგი მუდამ განუსაზღვრელია, მიუწდომელი. თვით შტირნერმა გვიანდერძა თავის დოქტრინის ქვაკუთხედი ფორმულა, რომ პიროვნება „გამოუთქმელი“ რამ არის, „მიუნდომელი“. მას არა აქვს არავითარი სახელწოდება და არც თუ მოიპოვება სიტყვა მის არსებით ეხარის დახასიათებლად. არც შემეცნებას, არც ერთს ჯადოსნურ სიტყვას არ შეუძლიან მისი ვითარების გამოსახვა. მისთვის „საცოდავ ენას არ მოეპოვება სიტყვები და სიტყვა, ლოგოსი, მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩება“. ეს არ არის მახარებელ იოანესი და ვლ. სოლოვიოვთა ჯადოსნური ლოგოსი, „რომლის მიერ ყოველი შეიქმნა, და

*) Der Einzige, 178, 14, 213, 230, 190, 168 და სხვ.

თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რაიქმნა,“*), არამედ შიშველი რამ.

„მე ადამიანი ვარ,“—ამბობს შტირნერი,-შენც ადამიანი ხარ, მაგრამ „ადამიანი“ მხოლოდ აზრია, საყოველთაო რამ—არც მე, არც შენ, არც შენ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან გამოვითქვათ“,**) და შემდეგ: ღმერთზე იტყვიან ხოლმე, რომ იგი გამოუთქმელიაო. იგივე მეკუთვნის მეც; ვერც ერთი ცნება ვერ გამომხატავს მე, ვერავინ ამიღებს იმ მხრით, რასაც ჩემი დახასიათება, დასურათხატება შეეძლება. ყველა ეს მხოლოდ ერთი გაცვეთილი სახელწოდებაა“***).

ამნაირად, ემპირიულ კონკრეტულ პიროვნებასთან იხსნება მისი ირრაციონალური და უაღრესი სისრულე. შტირნერის პიროვნება ეს იგივე ნაკადულია, რომელშიაც ჰერაკლიტის მოწაფის კრატილის შენიშვნისა არ იყოს, ერთხელაც არ შეიძლება შესტოპოს ადამიანმა.

ცხადია, თუ რატომ ამბობს შტირნერი, რომ პიროვნება განუმეორებელიაო. პიროვნება კონკრეტულია, რამდენადაც იგი რთულად არის შეკრული მთელს თავის თავისებით და მასთან რამდენადაც იგი განუყოფელია. არავის შეუძლიან იმად იყოს, რაც მეორეა; თვითოეული შეუდარებელია, ერთად ერთი: თავისებურება—ეს მთელი ჩემი არსება არის; მთელი ჩემი არსებობა; ეს თვით მე ვარ; იგი ჰბადებს უთანასწორობას, დაყოფას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი სხვებს

*) იოანე, თავი 1, მუხლი 2.
**) Der Einzige, 215.
***) Der Einzige, 364.

დავუთმოთ.*) აქედან შტირნერს გამოჰყავს დასკვნა, რომ თვითეული თავისთავად ყოველთვის მოწყვეტილია სხვებს, იგი ერთად ერთია, განკერძოებული; თითოეულს აქვს რაღაც სხვათა წინაშე; თავისი თავი, ანუ თავისი ერთეულობა! ჩვენ სხვათა წინაშე არა გვაქვს რა საერთო; ჩვენი სისუსტე ის კი არ არის, რომ ჩვენს შორის ამგვარი უთანხმოება არსებობს, არამედ ის, რომ ეს უთანხმოება სრული არ არის, ე. ი. რომ ჩვენ ერთიანად არა ვართ ერთიერთს მოწყვეტილნი (geschieden**).

აქ შტირნერი იძულებულია დასთანხმდეს ჩვეულებრივ აზრს, რომ თვითეულს აქვს მხოლოდ ერთეული, საკუთარი შემოქმედებისა, სიყვარულისა თუ ბედნიერების ასპარეზი: ირრაციონალური უსაზღვრო სიმდიდრე მისი ემპირიული პიროვნებისა. და აი ამ დაუსრულებელს ტალღებში რაკი ლა ერთხელ შეცურდება, შტირნერი ხანდახან ჰგრძნობს, რომ მის წინ რაღაცა მისტიური სამეფო იშლება ადამიანის არსებობისა. იგი არა თუ თეორეტიულად, არამედ ცხადად, ინტუიტივურად ჰგრძნობდა, თითქოს მართლა სწვდებოდა ამ იდუმალების ულრმეს სფეროს, სადაც ინთქება სიტყვები, სადაც აზროვნება თითქოს უკვალოდ იკარგება. ამ დროს აზრთა სფერო, დოღმატიური რწმენა, მისთვის დაუსრულებელ წყვდიადს წარმოადგენდა და აღტყინებული ხმით იგი მეტყველებდა უაზრობის დღესასწაულზე შემოქმედების უსუსურობაზე, სადაც სამაგიეროდ განთავისუფლებასა ჰხედავდა*).

*) Der Einzige, 215, 364, 185, 164, 242 და სხვ.
**) Der Einzige, 241, 243.
*) Der Einzige, 175, 346, 405.

ასეთი არის, მოკლედ, ლოღიკური პიროვნება შტირნერისა. ახლა ვნახოთ, როგორ უყურებს იგი ფილოსოფიის თვალსაზრისით?

პიროვნება, როგორც უაღრესი ღირებულობა, უნდა აღებულ იქმნეს მთელი თავისი სახით, როგორც ემპირიული მთელი რამ. იგი ღირებულია სულით და ხორცით, ამიტომ იგი ვითარცა კონკრეტიული ადამიანი, მთელ თვისი შინაგანი თუ გარეგანით, ქვეყნით „უნდა განმართლებული იქმნეს, რათა შეეძლოს ცხოვრება„ ჭეშმარიტი პიროვნება, განყენება არა ნიშნავს, იგი არც თუ ცნებაა, არამედ ემპირიული მთელი, ცოცხალი პიროვნება: „Der Mensh, vie er liebt und lebt“. მაგრამ პიროვნება ხომ თვითეული ჩვენგანი არის, მაშასადამე, თვითეულში ყოველისფერი ღირებულია. აქედან გამომდინარეობს შტირნერის მოწოდება, რომ ჩვენ უარვყოთ ყოველგვარი ცნობანი, რაიც კი „ეგრედ წოდებულ ბოროტებად და სიკეთედ“ აღუნიშნიათ, ვინაიდან მათ არავითარი ადგილი არა აქვთ პიროვნების სულიერსა თუ ხორციელ ცხოვრებაშიო. თუ არ შეიძლება ერთი დაფასდეს როგორც ბოროტება, ხოლო მეორე ვითარცა სიკეთე, სჩანს, მათ არც ადგილი ჰქონიათ. იგინი თავისთავად ჰკარგავენ ყოველივე აზრს, რჩება მხოლოდ პიროვნება, ეს გახლავთ კონკრეტიულ ემპირიული პიროვნება, ეს უაღრესი ღირებულება, რომელიც არავის ძალუძს დააფასოს. და აი, ამ „ღირებულებით“ ემპირიული პიროვნება სულ სხვაგვარად განიმარტების. მისი „განმართლება“, ერთი სიტყვით, მისი სამსჯავრო სკამზე დასმა ყოვლად შეუძლებელია. აქედან უარისყოფა სიკეთისა და ბოროტებისა მის მოძღვრებაში გვიჩვენებს სწორედ იმ ამორალისტურ მიდრეკილებას, რომლისთვისაც ერთი ვაი უშველებელით ყიჟინსა სცემდნენ ფრ. ნიცშეს, როდესაც მან პირველად 1885 წ.*) თავისი ერთი საუკეთესო თხზულება „სიკეთისა და ბოროტების გარდაღმა მხარეს“ გამოუშვა, ხოლო იგივე აზრი განავითარა შემდეგ „მორალის გენეალოგიის შესახებ“ (Zur Genealogie der Moral, 1887 წ.), მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

შტირნერი თავის დანიშნულებად სთვლის „შეარყიოს თვით ჭეშმარიტებაც კი“, თვით „ზნეობის კარის ბჭე“ ჩამოიღოს, ვინაიდან ყველა ეს პიროვნების შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია, ეს პიროვნების სრული დამახინჯებაა. არ არის ღირებულება, რომელიც უაღრესობაზე მაღლა იდგეს და კონკრეტიული პიროვნება კი ყველაზე უმაღლესი ღირებულებაა. გარეშეთა მიერ შეფასებას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი უარ ჰყოფს არა მარტო იმ ღირებულებს, რომელიც აწვრილმანებს პიროვნებას, არამედ საზოგადოდ ყოველივე ღირებულებს, როგორც ასეთს,**) თუ როგორ უთანხმებს ეს უკიდურესი ჰეგელიანელი საზოგადო ღირებულების უარის ყოფას და ამავე დროს პიროვნების უაღრესობის აღიარებას, ჩვენ არ ვკითხულობთ. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ მისი ეს უკიდურესი მხარე, რომელიც მის ფილოსოფიას ფრიად ახასიათებს. მაგრამ გავყვეთ ქვევით.

რაკი-ლა თანდათანობით გატაცებამ შტირნერს ყოველივე ნორმა უარაყოფინა, იგი იძულებული

*) Der Einzge, 59, 106, 338—339, 214 და სხვა.
**) მეტი არ იქნება მკითხველს გავაგონოთ, რომ ამ თხზულების ნაწყვეტები ჯერ კიდევ 1881 წლ. იბეჭდებოდა.

დ. გ-ძე.

უთმის მეფე ნიკოლოზთან შეთანხმებით. ამას პორტა უცხო სახელმწიფოებს არ ატყობინებს. პორტა მხოლოდ ჩერნოგორიასა სთხოვს ნეიტრალიტეტის შენახვას. ამასთანავე აცხადებს, რომ თავის მოხელეებსა და ერთგულ ალბანელებს უბრძანოს, რომ მათ მალისორებს შინ დაბრუნებაში ხელი არ შეუშალონ. პორტას სიტყვით, მალისორები აქამდისაც დაბრუნდებოდნენ, ჩერნოგორია, რომ არ უშლიდეს ხელსა. ამის გარდა, პორტას სურს „კეთილ-მეზობლობა" შეინარჩუნოს; ამიტომ თავის ელჩს უბრძანა, მეფე ნიკოლოზს ამის თაობაზე მოელაპარაკა და შესაფერი ფორმულა შეადგინოთ. მეფე ნიკოლოზ და სადრედინ-ბეის ამაზე ლაპარაკი უკვე აქვთ გამართული. თუ ასეთი ფორმულა შეადგინეს, მაშინ ალბანეთის საკითხიც მშვიდად გათავდება. ჩერნოგორიის მთავრობასაც ძალიან უნდა, რომ საკითხი მალე გათავდეს, მხოლოდ რასაკვირველია ისე, რომ თავისი ინტერესები დაიცვას და ის ზარალი აანაზღაუროს, რომელიც მას მოუვიდა. მაგრამ ვინ იცის მშვიდობიანად გადაწყდება ეს საკითხი თუ არა? ოსმალეთის სამხედრო მინისტრს მაჰმუდ-შევკეთ-ფაშას უთქვამს გაზ. „ცეიტ"-ის კორესპონდენტისათვის, ჩერნოგორიასთან ომი აუცილებელია. თუ იტალია ჩაერევა ამ საქმეში, მაშინ ავსტრია მას წინ გადაუდგება. ასე, რომ იტალია ჩერნოგორიას ვერ მოეშველება. ხაკი-ბეის (ოსმალეთის განათლების მინისტრად ნამყოფი) კი უთქვამს, ოსმალეთს ჩერნოგორიასთან ომი სრულებითაც არა სურს, რადგანაც, თუ ოსმალეთი გაიმარჯვებს, ჩერნოგორიას იგი ვერაფერს ვერ გამოართმევს.

**საფრანგეთი.**

ჯარის მთავარ-სარდლობის საკითხი ასე გადასწყდა: გენერალი სიმუსი არ იქნება; გენერალი პო გენერალურ შტაბის უფროსად დაინიშნება. მთელი ჯარის უფროსის, მშვიდობიანობისა და ომიანობის დროსაც მას ჩაებარდება. ნაციონალურ თავ-დაცვის კომიტეტი, რომელშიაც იქნებიან პრეზიდენტი, მინისტრები და გენერალიტეტი, უმაღლესი ხელმძღვანელი იქნება.

— გახსრიკეს გაზ. „ლა გუერრე სოციალე"-ს ორი თანამშრომელი მეო და გოლდსკი. მათ რევოლუციონურ ტრიბუნალის საბუთები უპოვეს. საბუთები პროვოკატორ ლუსიენა მეტივეს საქმეს ეხება. ორივე თანამშრომელი დაატუსაღეს.

**ჩინეთი.**

— მანჯურიის ვიცე კოროლმა სამხედრო სამინისტროს შეუთვალა, საჭიროა ადგილობრივ ჯარის გაძლიერებაო. ეხლა მანჯურიაში 3 დივიზიაა. სამინისტრო ამ წინადადებას დასთანხმდა და 3 დივიზიის გაგზავნა გადასწყვიტა.

— ხუნხუზებთან საბრძოლველად მანჯურიის ვიცე კოროლმა გადასწყვიტა. ყველა სოფელში შეადგინოს სასოფლო პოლიცია; ამ პოლიციას სამხედრო წესებს ასწავლიან.

— ჩინეთში ელიან გერმანიის ფლოტს. მის მოსვლამდის ცზინდაოს ნავთსაყუდარში დიდი მუშაობაა. გაზეთები ამბობენ, გერმანია ჩინეთის ცხოვრებაში მალე დიდ ადგილს დაიჭერსო. გერმანიის საქონელმა და იარაღმა ჩინეთში დიდი ბაზარი მოიპოვა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მკათათვე.

**საზღვარ-გარეთ.**

**ვენა.** იმპერატორმა ცეცხლით დაზარალებულ სტამბოლელებს ათი-ათასი კრონი შესწირა; ავსტრიის მთავრობამ 6.000 კრონა.

**პარიზი.** გაზ. „ტანი" იუწყება: საფრანგეთ გერმანიის მოლაპარაკებამ ახალი კითხვები წამოაყენა: გერმანია უარს ამბობს მაროკოში პოლიტიკურ გავლენაზე და მხოლოდ ეკონომიურ ინტერესებს ინარჩუნებს; კამერუნის საზღვრები გერმანიის სასარგებლოდ შეიცვლება.

**პარიზი.** ჰავასი იტყობინება: ზოგიერთა გაზეთები სენსაციურ ცნობებს იტყობინება, ვითომ გერმანია სათადარიგო ჯარის კაცებს იბარებსო, ხოლო საფრანგეთი კი დიდ სამზადებშიაო. ეს ხმები საფუძველს მოკლებულია.

**სტამბოლი.** ადრიატიის გზა მარდარიდან დაიწყება, გაივლის სერბიის საზღვრებს, პრიშტინას, პრიზრენს, დრინის ხეობას, ლებრიუს, მატის ხეობას და სან-ჯოვანი დი მედუას მივა. აქედან სკუტარისაკენ გზის სხვა ლიანდაგი გავა, ეირპაზარს გაივლის და აქედან ჩერნოგორიაში გადავა და ანტივარს მივა.

პორტას ატყობინებენ, მექქის ემირმა ესიხის დედა-ქალაქი ებხუ აიღო.

მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა განიკურნა იმ იარებისაგან რომელიც ცეცხლის დროს მიიღო.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრის განკარგულებით მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნა შეუძლიან უმაღლეს სწავლა მიღებულ მართლმადიდებელს. წევრები, თავმჯდომარე და მისი თანაშემწე უნდა დაამტკიცოს ოლქის მზრუნველმა. კომიტეტის არასასურველ მიმართულებას მზრუნველი მინისტრს მოახსენებს, რომელსაც კომიტეტის დახურვის უფლება აქვს.

**ნიკოლაევსკი.** სამარის გუბერნიაში მხოლოდ ერთ კვირას ხოლერით ავად გახდა 4, გარდაიცვალა 6.

**მოსკოვი.** სუხარევის ლომბარდიდან ასი ათასი მანეთი გაიტაცეს.

გარდაიცვალა 84 წლის მოროზოვის ქვრივი, რომელიც სათავეში ედგა სავვა მოროზოვის წარმოებას. მოროზოვის ქვრივს 50 მილიონი მან. დარჩენია.

**კრესტცი.** უტოჩკინი საკურნავად გაემგზავრა მოსკოვს.

**რიგა.** ნახშირის გადასატვირთავზე გაფიცულ მუშების ნაცვლად ტუსაღებს ამუშავებენ.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა იაპონიისა და რუსეთის შორის სააქციონერო საზოგადოებათა შეთანხმების პირობანი.

**ოდესა.** შავი-ჭირით სამი კაცია ავად.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე საპასუხო წერილს იმ ბრალდების შესახებ, რომელიც დამდვა ბ. კავთისხეველმა „სახალხო გაზეთი"-ს № 333-ში. მოთავსებული კორესპონდენციით სოფელ კავთისხევიდან. ბ. კავთისხეველი სწერს, ვითომ მე, კავთისხევის მასწავლებელს, ხელი შემეშალოს წვრილ კრედიტის ამხანაგობის დაარსებისათვის სოფელ კავთისხევში მით, რომ ვითომ მე მეთქვას გლეხებისათვის, ხსენებული დაწესებულება ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგიტანთო. რას მივაწერო კავთისხეველის მიერ ასეთი უსაფუძვლო ბრალდება ჩემდამი, არ ვიცი. საკვირველია! თუ არ მწამდა წვრილი კრედიტის სარგებლობა, წევრად რაღად ვეწერებოდი? და თუ ბ. კავთისხეველმა არ იცის ეს გარემოება, ვსთხოვ გადაათვალიეროს კრებაზე შედგენილი თხოვნა, სადაც მე მე-6-ე რიგზე მიწერია ხელი. იქნება არც ის იცის ბ. კავთისხეველმა, რომ ხსენებულ საქმის ინიციატორობაში თუ პირველობა არა, საპატიო ადგილი მაინც მეც მეკუთვნის. და ბოლოს მე ვკითხები ბ. კავთისხეველს: ვისი მეოხებით იყო, რომ იმ კრებაზე, სადაც ხსენებული საკითხი ირჩეოდა, კარგა ბლომად მსურველებიც აღმოჩნდნენ და ხელიც მოაწერეს? იქ ხომ ჩემს მეტს არავის არაფერი უთქვამს ამხანაგობის მნიშვნელობის შესახებ? თუ წინაღმდეგი ვთქვი რაიმე, პასუხის გაცემის უფლება ხომ ყველასა ჰქონდა? მაგრამ იქ არავის ხმა არ ამოუღია. თუ ყოველივე ზემო აღნიშნული სიმართლეა, მაშინ მე ხსენებულ საქმის ხელის შემშლელად მხოლოდ ბ. კავთისხეველს შეუძლიან გამომიყვანოს, დანარჩენები კი, მგონი, მე სხვას არას მიწოდებენ, თუ არ ინიციატორს ამ საქმისას. ამისათვის მივმართავ იქ დამსწრეთა შეგნებულ ნაწილს, თავისი აზრი გამოსთქვან ზემოხსენებული საკითხის შესახებ და მით სიმართლე აღადგინონ.

**სოფ. კავთისხევის მასწავლებელი**

—

მოწყალეო ხელმწიფევ
ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის გაზეთის 324 №-ში სოფ. ჭანჭანიდან მოთავსებულია წერილი, რომელშიაც სამღვდელო კანდიდატის არჩევის ამბავია მოთხრობილი. ზოგი ჩემი მტერ-მოყვარე ამ წერილის ავტორობას მე მახვევს თავს, რის გამოც ერთობ არა სასურველ გარემოებაში ვარ ჩაყენებული. ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ აღნიშნული წერილი მე არ მეკუთვნის და საზოგადოდ თქვენს გაზეთში (არც სხვაში, ღმერთმა უწყის!) არ თანავშრომლობ.

**მღვდელი ლევანტი წულაძე.** *)

*) რედაქცია ამოწმებს, რომ მღ. ლ. წულაძე არაოდეს არ ყოფილა მისი თანამშრომელი.

---

გახდა ბოლოს თვით თავის მიერ დაყენებული ნორმები განემარტა, ვითარცა უღვთოვარ განვითარების რეაქციური ტენდენციები. იგი ამაყობს და სიტყვა-მახვილობით. აქეზებს თავის თავს მკითხველის თვალში და კი ვერ ამჩნევს, რომ მისი თხზულების თვითეული სტრიქონი ლოღიკურ არგუმენტაციას წარმოადგენს, რომ იგი დარწმუნებულია თავის ძლევა-მოსილებაში, როგორც თეორეტიულ, ისე ღირებულების კრიტერიუმების შესახებ, ან კიდევ თუ როგორ ჰქადაგებს ახალს მორალურ ღირებულებათ.

მისი აზრით „არ არის ბოროტება,*) არა სუფევს სიკეთეც", საკმარისია ითქვას „არ არის ბოროტება", რომ ყოველისფერი კანონიერად ვიცნოთ. როდესაც ვამბობ, „მე სრული ვარ", ეს იმას ნიშნავს, რომ „ყოველისფერი ჩემში, ანუ ყოველ კონკრეტიულ ადამიანში, მხოლოდ ერთი სიკეთე არის". ცხადია, თუ რომ ყოველ კონკრეტიულ ადამიანში ყოველისფერი კეთილი არის, მაშინ საზოგადო ბოროტებაც არა ყოფილა. რახანც კონკრეტიულ ადამიანში იგი არასფერს მსჯავრს არა სდებს, მაშასადამე, ყოველისფერი რიგზე ყოფილა დაწყობილი, ყოველისფერი ისე უნდა მოხდეს, როგორცა ხდება. აქაც ერთგვარი ფატალიზმი ჰყოფს თავს, ბრმა ბედისწერა, რომელსაც უსიტყვოდ უნდა მიჰყვებოდეს თვითეული ადამიანი, როგორც ტალღებზე გაცურებული ნამორი, რამაც არ უწყის, რომელ კვარცხლბეკს შეახეთქებს უფსკრულის ზვირთი, ან როდის ჩანთქავს თავის ფსკრში ჩასაქვიშრებლად.

ამის შემდეგ შტირნერი მარტო დანგრევით არ კმაყოფილდება და გადადის რამოდენადმე პიროვნების დადებით მხარეზე. ეს მაშინ, როდესაც იგი კონკრეტულ პიროვნების უაღრესობაზე ლაპარაკობს. მისი აზრით ადამიანი სრულია, როგორც კონკრეტულ ემპირიული პიროვნება, მაგრამ „თუ რელიგია მსჯავრსა სდებს მას და ღაღადისით მთელს ქვეყნიერებასა სძრავს, რომ ჩვენ ცოდვილნი ვართო, მე ვიდგენ, რომ ჩვენ ყველანი **სრულნი ვართ**". „ჩვენ სრულნი ვართ და არ არის დედამიწაზე დამნაშავე, არ არის ცოდვილი!" მისთვის არ არსებობს გზა მაღლა და დაბლა. მის მოძღვრებაში ცნება „უმჯობესი" ადგილს ვერ ჰპოვებს, ვინაიდან სრულს არ ექმნება მაღალ-დაბლობა, გზის ახვევ-დახვევა. მას ვერავინ დართავს ნებას, ვინაიდან ნების დართვა ნიშნავს იმავე დროს მეორე მხარის აღკრძალვას. მისთვის არ არსებობს ნორმა; არ უწყის ცოდვა, იცის მხოლოდ თვითგამორკვევა; იგი განისაზღვრება მხოლოდ თავისი შინაგანი ბუნებით და მეტი არაფრით. „ღვთის შესახებ ამბობენ, რომ... იგი აუცილებელ კანონების კვალობაზე მოქმედებსო. ასევე ითქმის ჩემს შესახებაც, ვინაიდან მეც არ შემიძლიან ჩემი ქერქიდან გამოვიდე, მე მაქვს აუცილებელი კანონები (sic!) მთელს ჩემს ბუნებაში, მთელს ჩემს არსებაში", „ამბობენ კიდევ, რომ ღმერთი სრული არისო, ამიტომ იგი უაღრესობისაკენ აღარ უნდა ისწრაფებოდეს. იგივე ითქმის ჩემს შესახებ. ვინაიდან მეც ხომ სრული ვარ, ღვთის თანამგზავსად გამოურკვეველი"*).

ამნაირად, კონკრეტული პიროვნება შემოსილია ღვთაებრივი ატრიბუტებით. იგი ამას არსად არ ჰმალავს. თვით თავის დოქტრინის დასაწყისშივე აღიარებს, რომ ღვთის მსგავსება—აი ის კულმინაციონური წერტილი, რომლის განმტკიცებასაც უნდა ეტრფოდეს ყოველი ადამიანი.*)

თუ წინად „ერთეულობა" ნიშნავდა კონკრეტულ პიროვნების განუმეორებელობას, ახლა სულ ახალი მნიშვნელობა მიიღო მან: ახლა იგი ნიშნავს ემპირიულ ადამიანის თვითღვთიურ ახსნას. თვითეული ადამიანი ერთად ერთია, სწორედ ისე, როგორც ერთად-ერთია უმაღლესი მიზანი, უაღრესი მისწრაფება, როგორც ღვთაება. მის მისწრაფებაში თუ სურვილთა შორის არ არსებობს მაზე უაღრესი რამ: იგი სხვისთვის არაფერია, და თუ არის რამე, ესეც მხოლოდ თავის თავისთვის. და აი, რომ ადამიანში გადაიტანოს ღვთაებრივი სიმძიმის ცენტრი, შტირნერი დაუღალავად არღვევს ყოველისფერს, რათა ყოველგვარ ღირებულებას ფასი დაეკარგოს. სულის გაუდაბნოება და ახალი ცხოვრების წყაროს შთასხმა—აი შტირნერის კრიტიკის უმთავრესი დანიშნულება ეს გახლავთ.

შტირნერის აზრით, სულიერი ცხოვრება უნდა შეთანხმებული იყვეს ყველა იმასთან, რაც „ჩემია", რაც „ჩემს საკუთრებას" შეადგენს. იგი თხოულობს, რომ „შენ", „მე", „ჩვენ"—განთავისუფლებულნი იყვნენ ყველა იმისგან, რაც რომ „შენ არა ხარ, მე, ჩვენ", თავისუფლება უწინარეს ყოვლისა თვით განთავისუფლებასა ნიშნავს. აი მისი უკანასკნელი მართლაც და ძლიერი მოწოდება, რომელიც მის მოძღვრების გამოსავალ წერტილს შეადგენს. „ნუ სძიობთ თავისუფლებას, რომელიც თქვენს თავს თქვენვე გამოსტაცევით თქვენი თავის უარისყოფით, გახდით ყველანი ეგოისტები! დაე, თვითეული თქვენგანი გახდეს უძლიერესი მე". ანუ კიდევ: „დაე, თვითეული თავის თავს დაუბრუნდეს", მაგრამ ერთიც და შევჩერდეთ კიდეც: „გაანთავისუფლე შენი თავი, რამდენადაც კი შეგიძლიან, მხოლოდ ამ ერთ გზით შეგიძლიან შენს დანიშნულებას მიაღწიო".*)

დავასკვნათ ახლა: შტირნერის მთავარი აზრი ის არის, რომ „ადამიანი ერთეულია, ეგოისტი და სხვა და სხვ. და იმდენადვე ღირს იგი, რამდენადაც მთელს წარმოადგენს". თვითეული პიროვნება უნდა იყვეს ერთად ერთი, ეგოისტი და სხვ., რამდენადაც იგი იქნება ღირებული". „კონკრეტიული" პიროვნება ამ ახალი თვისებებით იღებს ღირებულების კრიტერიუმის მნიშვნელობას, ხოლო შემდეგში იგი იქცევა ნორმატიულ—რეგულიატიურ იდეიად. და აი, სწორედ ამ იდეიით განისაზღვრება შტირნერის უარყოფითი თუ დადებითი მოძღვრება, რომლის გადმოცემასაც ამ წერილში მოკლედ ვსცდილობდით.

**დ. კახრაძე.**

(შემდეგი იქნება)

*) Der Einzige 190 გვ.

*) ეს პირველად დევიზი საშუალო საუკუნეში ერთგვარმა მოაზრეებმა წამოაყენეს ამ სახით: „არ არის ჭეშმარიტება, ყოველისფერი ნება დართულია». ეს მოაზრეები იყვნენ ა ს ა ს ი ნ ე ბ ი. იგინი იყვნენ მუსულმანების მიმდევარნი, რომელნიც ფარულად აკრძალებდნენ მაჰმადის ყურანს. ასასინები ალეგორიებით ჰმარტავდნენ ამ მოძღვრებას და შემდეგ იძულებით გზას დაადგნენ, რასაც მოჰყვა ტერორი, მკვლელობა. ეს სიტყვა «ასასინ», დღესაც მკვლელის მნიშვნელობით იხმარება საფრანგეთში, „assassin". მათი მოძღვრების ქვაკუთხედი შემდეგ შექსპირმა წარმოათქმევინა მეფე ლირს: „დამნაშავენი არ არიან ამ ქვეყანაზეო", მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში სრული განვითარება მისცეს ამ აზრს, როგორც გვეტყვით შ ტ ი რ ნ ე რ მ ა და ბოლოს ნიცშემ ხომ სულ უკიდურესობამდის განმარტა იგი. დ. კ—ძე.

*) როგორც მკითხველი დაინახავს ერთი და იგივე იდეია ზეკაცობისა, ვითარცა „ზემშთაგონებელ მეგხის თანამგზავრის» (რ. ვაგნერი), ნიცშეზე ადრე იყო წამოყენებული. ამათ გარდა ამავე იდეიას ერთ საუკუნის წინ ანვითარებდნენ გერდერი და გიოტე. აი ფაუსტის პირველ ნაწილში სული რანაირად ჰყოფს დაცინვით: „აგერ აქა გარ! რა საბრალო მრწუნვამ მოგიცვა. მენ-დღეს ზე-კაცი! სად არს შენი სულის სიმტკიცე?» ეს ისეთი სიტყვებია, რომ არა თუ იმ დროს, დღესაც ყველა განათლებული გერმანელი მოვალედ თავს ხუვლის ზეპირად იცოდეს. დ. კ—ძე.

*) Der einzige, 194, 189, 269, 167 და მრავალი სხვა ადგილები.

---

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოსწავლეებისა და ჩვენის მხრივ ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქუთაისის მოხოვრეებ ბ. გრიგოლ თავდგირიძეს, რომელმაც ხობის ყ-დ წმიდა ღვთის მშობლის მონასტერთან არსებულ სკოლას საკუთარი ხარჯით ჟურნალი „ნაკადული", ორთავე გამოცემა გამოუწერა.

სკოლის გამგე მღვდელ-მონაზონი **დიონისიოს.**

სამღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი **ნესტორ ხახანია.**

მასწავლებელი **ექვთიმე შუშანია.**

# გამოსადეგი ცნობა

**ორგანოტერაპია და მასაზრდოებელ ორგანოთა სნეულებანი.**

ისეთ ძნელ სნეულებათა რიცხვს, რომელთა გამოცნობაც მკურნალისათვის ყოველთვის ადვილი და შეუმცდარი არ არის, ეკუთვნის, ეგრედ წოდებული, მასაზრდოებელ ორგანოთა სნეულებანი, ე. ი. ისეთი ავადმყოფობანი, როდესაც მასაზრდოებელ ნივთიერებათა მიღება და მონელება ჰარმონიული არაა და გვამში შეუსაბამო მჟავბადს აჩენს; ეს კი ხშირად არა წესიერ შედეგს იწვევს, რასაც ორგანოთა ბუნებრივ მუშაობის დარღვევა მოსდევს.

ასეთ სნეულებას ეკუთვნის: შაქრის ავადმყოფობა, შარდ-მჟავი დიატეზი, ხურავანდი, რახიტი და სხვა ყველა გონივრული წამლობა ისაა, როდესაც თვითონ სნეულების გამომწვევ მიზეზს სწამლობენ—ე. ი. გვამში მჟავბადის დამზადების ძალის შემშლელ მიზეზთან ბრძოლა. მჟავბადის მეხაქმნელ უებარ საშუალებად მკურნალთა და პროფესორთა საერთო აზრით, მიჩნეულია სპერმინ-პელა. სპერმინ-პელა დიდად აჩქარებს მჟავბადის დამზადების პროცესს, გვამიდან გამოჰყავს დაუმჟავებელი ნაყოფი და ამ გზით საზრდოს უკეთ მონელებას ხელს უწყობს. Мецль.

**ვინ როდის იღებს მთხოვნელებს**

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** ხამშაბათობითა და პარასკევობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სახაზ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (მეზარხის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკევობით დილის 10—11 საათამდე, შტაბი შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიმში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ სათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).


# განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა. დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ჟ. შ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ტერტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინ. გან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. ვარცი შევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—86)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ბებიოს ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—64)

**დიდი მამული**

ჰსურთ იყიდონ კავკასიაში.

მიჰმართეთ: მოსკოვში, კნტორა ფ. მ. ბურკოვსკისა, სადოვაია-კუდრინსკაია, 12.

Метцль и К-о. 260960. (1. 1387. 1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . . ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . . . ფ. 80 კ. |
| Baton-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. უიფიანისა: | «ხამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

**ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე... მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


სტამბა „სორაპანი" მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.